ფონოლოგიური ცნობიერება და წერა-კითხვის უნარი

სოფიო ზირაქაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ზირაქაშვილი

17 ივნისი, 2018 წ.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია სკოლის მოსწავლეებში ფონოლოგიური ცნობიერებისა და წერა-კითხვის უნარის ურთიერთდამოკიდებულება, ასევე ნაკვლევია არსებობს თუ არა განსხვავება სქესის მიხედვით ფონოლოგიური ცნობიერების უნარების მაჩვენებელში. ფონოლოგიური ცნობიერება გულისხმობს იმ უნარებს, რომლებიც ბავშვების უმეტესობას სამი წლიდან უვითარდება და მომავალში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თუ როგორ აითვისებენ ისინი კითხვისა და წერის უნარებს, შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, ასევე განხილულია განსხვავება ფონოლოგიურ და ფონემურ ცნობიერებას შორის, როგორც სხვადასხვა ტერმინი, რომელიც ხშირად ერთი მნიშვნელობით გამოიყენება. კვლევა მიზნად ისახავდა საჯარო სკოლის ქართველ მოსწავლეებში (ასაკობრივი კატეგორია 6-7 წელი) აღნიშნულ კონსტრუქტებს შორის კავშირის დადგენას. ცდის პირების შერჩევის მთავარი კრიტერიუმები იყო საჯარო სკოლაში სწავლა და სასწავლო კლასი, კერძოდ, პირველი კლასი. ცდის პირთა წერა-კითხვის უნარი შეფასებულ იქნა მათივე მასწავლებლის მიერ. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი. პირველ რიგში, დადასტურდა, რომ ფონოლოგიური ცნობიერების უნარები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წერა-კითხვის უნარების ათვისებას. დადგინდა მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია მოსწავლეების ფონოლოგიურ უნარებსა და მასწავლებლის მიერ მათი წერა-კითხვის უნარების შეფასებას შორის. თუმცა, საინტერესოა, რომ არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავება სქესის მიხედვით ფონოლოგიური ცნობიერების უნარების მაჩვენებელში, რაც გულისხმობს, რომ ფონოლოგიური ცნობიერება ერთი დინამიკით ვითარდება გოგონებსა და ბიჭებში, შესაბამისად, როგორ მოხდება წერა-კითხვის უნარების ათვისება, დამოკიდებულია ფონოლოგიური ცნობიერების უნარების განვითარებაზე და არა მოსწავლის სქესზე.

საძიებო სიტყვები: ფონოლოგიური ცნობიერება, წერა-კითხვის უნარები, ფონემური ცნობიერება.